ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N177

(გამარტივებული შესყიდვა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1" ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2020 წლის 24 დეკემბერს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია", მისი უფლებამოსილი დირექტორის გრიგოლ გიორგაძის სახით.
საიდენტიფიკაციო კოდი: 405007200
მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ.#70, ტელეფონი 2 22 65 33
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22;
ანგარიშის N GE72TB7905236080100001

მიმწოდებელი: ფ/პ ნიკა მელიქიშვილი
საიდენტიფიკაციო კოდი: 31001014276
საკონტაქტო ინფორმაცია: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დავით სარაჯიშვილის ქ. N41, Email: nmelikishvili8@gmail.com, T: 558141408
საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი TBCBGE22;
ანგარიშის N GE93TB7233145063600048

ერთი მხრივ _ შემსყიდველი, და მეორე მხრივ _ მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" 2020 წლის საკუთარი შემოსავლებიდან ამწეებისა და მათი ოპერატორების მომსახურების შესყიდვა (CPV-45510000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **382.65 ლარი.**

<u>სამას ოთხმოცდაორი ლარი და სამოცდახუთი თეთრი</u>
(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, რომელსაც იხდის მიმწოდებელი.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება, კერძოდ - განახორციელოს ქ. ქუთაისში, ირ. აბაშიძის გამზირზე მდებარე პარლამენტის ყოფილი ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სადრენაჟე არხის გაწმენდითი სამუშაოები.

ბ) მომსახურება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებში;

ბ) შეამოწმოს მომსახურების გაწევის ხარისხი, მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მისცეს მას მითითება ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" ადმინისტრაციის მთავარ სპეციალისტს, ნიკოლოზ რევაზიშვილს.

6.3 მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად სავალდებულოა საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

7.1 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.N29

7.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეწყდება.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი ნიკოლოზ რევაზიშვილი.

9.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად _ ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას და შეთანხმებული ხარისხით. მხარეები პასუხს

აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევის გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა განსაზღვრულია ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 10% - ის ოდენობით.

10.4. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში) შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02% - ის ოდენობით. შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში) მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02% - ის ოდენობით.

10.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.6. ვალდებულების ნაკლიან შესრულებად ჩაითვლება მიწოდება მომსახურების, რომელიც არ არის მხარეების მიერ შეთანხმებული ხარისხის მქონე ან ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, გამოსადეგი ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

10.7. დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 მიმწოდებლის მიერ ,,ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ ვალდებულების დარღვევის გამოსასწორებლად მიმწოდებლისთვის წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების გზით მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლისთანავე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აშკარაა, რომ დამატებითი ვადის დაწესებას აზრი არ აქვს ან ვალდებულების დათქმულ ვადაში შესრულება შემსყიდველის არსებით ინტერესს წარმოადგენს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლის შესახებ.

11.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში იგი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 41 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველის შესყიდვების წლიური გეგმის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ შესაბამის ნორმატიულ აქტთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით და აღნიშნულის შედეგად შეუძლებელია ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება.

11.3 ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

12.3 ხელშეკრულების მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული

მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ფარგლებში.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს, დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა

14.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადა შეადგენს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) თვეს.

14.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ექსპლოატაციის პროცესში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი საკუთარი ხარჯებით.

15. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ყოველ მხარეს აქვს ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

15. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან შპს ,,აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის" დირექტორი გრიგოლ გიორგაძე	მიმწოდებლის მხრიდან ფ/პ ნიკა მელიქიშვილი

ხელმოწერა:
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

Assets Management And Development Company LTD

Digitally signed by Assets Management And Development Company LTD
DN: cn=Assets Management And Development Company LTD, c=GE, o=Assets Management And Development Company LTD
Date: 2020.12.24 17:23:57 +04'00'

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ N177 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს:

დირექტორი	გრიგოლ გიორგაძე
ადმინისტრაციის უფროსი	ლაშა ციმაკურიძე
იურიდიული სამსახურის უფროსი	ლია ფარესაშვილი
საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი	ინგა ცირდავა
მონიტორინგისა და აქტივების მართვის სამსახურის უფროსი	ხურა ელოშვილი
შესყიდვების განყოფილების უფროსი	თამარ ჯაფიაშვილი
საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის მთავარი ბუღალტერი	მაია კახელაშვილი
ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი	ნიკოლოზ რევაზიშვილი